# ხელშეკრულება №03/03

14 მარტი 2014 წელი

ქ.ონი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ( შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ.ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ი/მ "გოჩა კალმახელიძის" (მდებარე ქ. ონი, ვახტანგ VI ქ. №22) (შემდგომში მიმწოდებელი) სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 06.03.2014წ. №35 განკარგულების საფუძველზე მოემსახუროს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველო სამსახურის კუთვნილი ავტომანქანებზე სათადარიგო ნაწილების შეძენა თანმდევი მომსახურებით (დანაყოფის კოდი 34300000).

1.2 შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული მომსახურების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-6 , მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად.

## 2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესაძენი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

## 3.სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.2 ხელშეკრულების გათვალისწინებით მოემსახურება 2014 წლის 31 მარტამდე.

## 5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შესყიდვის ობიექტის ჩაბარება ხდება შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი აქტის საფუძველზე.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 წარმოადგენს დეფექტური აქტს, ხოლო სამუშაოს შესრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტს და ანგარიშ-ფაქტურას (ზედდებულს) თანდართული ფორმით, 30 დღის განმავლობაში მოხდება ანგარიშსწორება.

## 7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

## 8.ხელშეკრულების ღირებულება

8.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

8.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმფლაციის მაღალი დონის ან საგადასახადო რეჟიმის ცვლილების შემთხვევაში 10%-ს ცვლილების ფარგლებში.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების, დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

*10.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.*

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

*11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: სამუშაოთა შესრულების გრაფიკიდან 10 დღის ჩამორჩენის შემთხვევაში შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.*
*11.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.*

## 12. ფორს-მაჟორი

*12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე ნხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.*
*12.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.*
*12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.*

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

*13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.*
*13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.*

## 14. გადასახადები და დაბეგვრა

*14.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.*

შემსყიდველი:

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე:

-----------------------------------
/შალვა ჯაფარიძე/

ქ.ონი დ.აღმაშენებლის მოედანი №1

ს/კ 237978275 ანგ.№ **GE62LB0120115527055000**
საქ. ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი
ბ/კ **LBRTGE22**

მიმწოდებელი:

ი/მ "გოჩა კალმახელიძე":

-----------------------------------
/გოჩა კალმახელიძე/

ქ. ონი, ვახტანგ VI ქ.№22

ტელ.: 599 562440
ს/კ 34001003294 ანგ.№**GE98LB0112122328344000**
სს "ლიბერთი ბანკი"
ბ/კ **LBRTGE22**

# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება №35

2014 წლის 6 მარტი
ქ. ონი

**ონის მუნიციაპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველოს სამსახურის ავტომანქანებისთვის საჭირო ნაწილების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელების შესახებ**

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შსაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ონის მუნიციაპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველოს სამსახურის ავტომანქანებისთვის დანართით განსაზღვრული ნაწილების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის გზით.
2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

შალვა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მანქანების სათადარიგო ნაწილები

| # | სათადარიგო ნაწილების დასახელება | რაოდენობა | სავარაუდო თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთი | 20 ლიტრი | 120 |
| 2 | სალიდოლი ანუ ტაოტი | 5 კგ | 120 |
| 3 | ძრავის სვეჩები ანუ სანთლები | 30 | 110 |
| 4 | გადაცემათა კოლოფის საფენი ანუ პრაკლატკა | 1 | 80 |
| 5 | ვალის საფენები ანუ შაიბები ნორმალნი | 2დედალი-2 მამალი | 20 |
| 6 | ვალის საფენები ანუ შაიბები რემონტნი | 2დედალი-2 მამალი | 210 |
| 7 | წყლის შემწოვი ნასოსის სპეც საფენები | 5 ცალი აქედან 4 ცალი გამშვების 1 ცალი შემწოვის | 270 |

სახანძრო სამაშველო სამსახური

შალვა ჯაფარიძე

საქართველო

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

# GEORGIA

## GOVERNMENT OF ONI MUNICIPALITY

№ 04-160

12 03 2014 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს

ბატონ კობა მეტრეველს

გააფორმეთ ხელშეკრულება 700 ლარზე მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის ავტომანქანის ნაწილების შესყიდვის მიზნით ინდ. მეწარმე „გოჩა კალმახელიძე"-სთან.

საფუძველი: ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 6 მარტის N35 განკარგულება.

ნუგზარ ბიჭაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

№152 12.03.14

12.03.14

საქართველო ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი №1 ტ.: 599 51 03 08
№1 Davit Agmashenebeli squ. Oni, Georgia; E-Mail: onisgamgeoba@yahoo.com